ნასყიდობის ხელშეკრულება 5-1-33

ხურვალეთი

12 ოქტომბერი 2016წ.

ერთის მხრივ, **შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ჯამბულატ ჯაყელის სახით, შემდგომში წოდებული როგორც **„გამყიდველი“**
და
მეორეს მხრივ, **“სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხურვალეთის საჯარო სკოლა“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის იზა წიქარიძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც **„მყიდველი“**

საქართველოს კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს გამდიდრებულ ქვანახშირს *(შემდგომში „ნასყიდობის საგანი“)*.CPV კოდი (09111100)

1.2. ნასყიდობის საგნის მთლიანი მოცულობა შეადგენს 10.680 *ათი ტონა და ექვსასოთხმოცი კგ)* ტონას.

1.3. ნასყიდობის საგნის სანაცვლოდ მყიდველი უხდის გამყიდველს ნასყიდობის საგნის ღირებულებას, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. **გამყიდველი ვალდებულია:**

2.1.1. გადასცეს მყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება, რაშიც იგულისხმება გამყიდველის შემდეგი ვალდებულებები: ნასყიდობის საგანი არ არის სადაო, არ ადევს ყადაღა, არ არის ვინმეს სასარგებლოდ დაგირავებული, არ აქვს ფარული ნაკლი, ამ ხელშეკრულების დადებამდე სხვას არ მიჰყიდვია, მესამე პირს არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრეტენზია ნასყიდობის საგნის მიმართ, იგი არ წარმოადგენს თანასაკუთრების საგანს, არავის არ გააჩნია მის მიმართ უპირატესი შესყიდვის და სხვა სამართლებრივი უფლებები.

2.1.2. გადასცეს მყიდველს ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ყველა საბუთის ორიგინალი.

2.1.3. ნასყიდობის საგნის მყიდველისათვის გადაცემამდე გამყიდველს ეკისრება მისი დაზიანებისა და განადგურების რისკი, მათ შორის შემთხვევითი დაზიანებისთვისაც.

2.1.4. **მყიდველისათვის ნასყიდობის საგნის მიწოდება** (გადაცემა) **განახორციელოს მყიდველის იურიდიულ მისამართზე (გორის რ-ნი. სოფ. ხურვალეთი)**. მიწოდება ითვლება დასრულებულად ნასყიდობის საგნის მყიდველისთვის გადაცემის მომენტიდან, რის თაობაზეც მყიდველსა და გამყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

2.1.5. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მყიდველს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებიც აფერხებენ მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად ან/და ჯეროვნად შესრულებას.

2.2. **გამყიდველი უფლებამოსილია:**

2.2.1. მოთხოვოს მყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

2.2.2. მოთხოვოს მყიდველს ხელშეკრულების ფასის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად.

2.2.3. უარი თქვას ნასყიდობის საგნის მოწოდებაზე თუ მყიდველს მიწოდების განხორციელების დღისთვის არ აქვს გადახდილი მისაწოდებელი ოდენობის ნასყიდობის საგნის ღირებულება.

2.3. **მყიდველი ვალდებულია:**

2.3.1. მიიღოს გამყიდველისაგან ნასყიდობის საგანი და ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ყველა საბუთი.

2.3.2. ნასყიდობის საგნის ფასი გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წესით.

2.3.3. გამყიდველის მიმართ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

2.3.4. ნასყიდობის საგნის მიღებისას გააფორმოს გამყიდველთან მიღება-ჩაბარების აქტი.

2.4. **მყიდველი უფლებამოსილია:**

2.4.1. მოთხოვოს გამყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

2.4.2. მოთხოვოს გამყიდველს ნასყიდობის საგნის მიწოდება.

3. ხელშეკრულების ფასი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად მიწოდებული 1 *(ერთი)* ტონა გამდიდრებული ქვანახშირის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 211 ლარი და 18 თეთრი ორასთერთმეტი *ლარი და თვრამეტი თეთრი)* ლარს. მთლიანი ღირებულება შეადგენს 2255.40 (ორიათასორასორმოცდათხუთმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარს.

3.2. მყიდველი ნასყიდობის საგნის მთლიან ღირებულას იხდის წინასწარ, ან მიწოდების დღიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში..

3.3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. თითეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში. ამასთან, თითოეულმა მათგანმა ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ ხარვეზის გამოსწორება.

4.2. მხარეებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ ერთმანეთისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე, გადაცემული დოკუმენტების ნამდვილობაზე, სისწორესა და სისრულეზე.

4.3. თითოეული მხარე ვალდებულია, უპირობოდ და სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით – ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდისიერი ან/და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი, მათ შორის მიუღებელი შემოსავალი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4. ნასყიდობის საგნის მიწოდების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ნასყიდობის საგნის ხარისხთან დაკავშირებით გამყიდველის მიერ პრეტენზიები არ მიიღება.

4.5. ნასყიდობის საგნის ან მისი ნაწილის შემთხვევით დაღუპვის, დაკარგვის ან/და გაფუჭების რისკი გადადის გამყიდველიდან მყიდველზე ნასყიდობის საგნის მიწოდების მომენტიდან.

5. დავათა გადაწყვეტა

5.1. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

5.2. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს.

6. ფორს მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იქნა მათთვის დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების პირობებში. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა: ომი, საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, დივერსია, ხანძარი, წყალდიდობა ან ნებისმიერი სხვა მსგავსი სახის ბუნებრივი მოვლენა, ან ნებისმიერი ისეთი გარემოება, რაც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს.

6.2. დაუძლეველი ძალის მოქმედების დაწყების შემდეგ მხარე აგზავნის შესაბამის შეტყობინებას, სადაც მიუთითებს ასეთი გარემოებების წარმოშობასა და მოქმედების სავარაუდო ვადას.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

7.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს, რომელიმე მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარ 3 (სამი) დღით ადრე წერილობით გაკეთებული შეტყობინების საფუძველზე ან მხარეთა ურთიერშეთანხმებით. ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს საბოლოო ანგარიშსწორება და შედარების აქტების გაფორმება, თუ ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.3. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეებმა უნდა დაასრულონ უკვე წამოწყებული მიწოდების ოპერაციები, შეადგინონ მიღება–ჩაბარების აქტები და მოახდინონ მიწოდებული ნასყიდობის საგნის რაოდენობისა და მყიდველის მიერ გადახდილი თანხების ურთიერთშედარება. სხვაობა უნდა ანაზღაურდეს შესაბამის მხარეს.

7.4. იმ შემთვევაში, თუ რომელიმე მხარე უხეშად ან/და არაერთგზის არღვევს ხელშეკრულების პირობებს მეორე მხარე ვალდებულია წინასწარ წერილობით გააფრთხილოს მხარე და მოთხოვოს დარღვევების აღმოფხვრა. დარღვევების გაგრძელების ან განმეორების შემთხვევაში, ის მხარე რომლის უფლებებიც ირღვევა უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება 3 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

8. დამატებითი პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში დამატებების და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ცვლილება ან დამატება შესრულებული უნდა იყოს წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

8.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და მხარეებს შესანახად გადაეცემათ თითო ეგზემპლარი.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„გამყიდველი“

შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“

ს/კ 230868120

მის: ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №13

საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE34 BG00 0000 0148 3584 00

გენერალური დირექტორი
ჯამბულატ ჯაყელი

„მყიდველი“

„სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხურვალეთის საჯარო სკოლა“

ს/კ 218047352

მის: გორის რ-ნი. სოფ. ხურვალეთი

დირექტორი
იზა წიქარიძე

მიღება-ჩაბარების აქტი

სოფ. ხურვალეთი 13 ოქტომბერი 2016 წ.

მხარეები:

ერთის მხრივ, **შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“**, წარმოდგენილი მისი რეალიზაციის განყოფილების უფროსი ფრიდონ რობაქიძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც **„გამყიდველი“**

და

მეორეს მხრივ, **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხურვალეთის საჯარო სკოლა “**, წარმოდგენილი მისი დირექტორის იზა წიქარიძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც **„მყიდველი“**

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2016 წლის 12 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე **გამყიდველმა** გადასცა, ხოლო **მყიდველმა** მიიღო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგანი 10.680 ათი ტონა და 680 კგ) ტონა გამდიდრებული ქვანახშირი.

მხარეებს ნასყიდობის საგნის ხარისხთან, მიწოდებასთან და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების შესრულებასთან დაკავშირებით ერთმანეთის მიმართ რაიმე სახის შენიშვნა არ გამოუთქვამთ, რის დასტურადაც მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„გამყიდველი“	„მყიდველი“
შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“	**„ „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხურვალეთის საჯარო სკოლა“**
ს/კ 230868120	ს/კ 218047352
მის: ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №13	მის: გორის რ-ნი. სოფ. ხურვალეთი
რეალიზაციის განყოფილების უფროსი ფრიდონ რობაქიძე	**დირექტორი იზა წიქარიძე**

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0267156850

2	13/10/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	09:58:06

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)	230868120

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის საჯარო სკოლა	218047352

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ტყიბული, ბარათაშვილის 1

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	გორის რაიონი სოფელი ხურვალეთი

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	CC412GG

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	21001002750 სამსონ დოლაკიძე

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	გამყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ქვანახშირი "დგ" მარკა	00005	ტონა	10.6800	211.1798	2255.4000

13	2255.4 - ორი ათას ორას ორმოცდათხუთმეტი ლარი და ორმოცი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	13/10/2016	15:16:59

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 18/10/2016, 10:31:56